

რამდენი ზომის ერთეულში არის შესაძლებელი პროგრამაში საქონლის აღრიცხვა?

ნომენკლატურის ყოველი პოზიცია ხასიათდება ზომის საბაზისო ერთეულით. ზომის საბაზისო ერთეული - ეს არის ის ზომის ერთეული, რომლის მიხედვითაც ხდება დანარჩენი ერთეულების გამოთვლა. საბაზისო ელემენტის დაფიქსირება ხდება ცნობარში "ზომის ერთეულები", მისი არჩევა ხდება ცნობარიდან "ზომის ერთეულების კლასიფიკატორი".

ზომის საბაზისო ერთეულის გარდა ნომენკლატურის პოზიციას შეიძლება დაენიშნოს სხვა ზომის ერთეულები. მაგალითად, სიგარეტებისთვის შეიძლება შემდეგი ზომის ერთეულების გამოყენება: "ცალი", "კოლოფი", "ბლოკი", "ყუთი". ზომის ყოველ ერთეულს აქვს საბაზისო ერთეულიდან გამოანგარიშების კოეფიციენტი, აგრეთვე, გააჩნია თავისი შტრიხ-კოდი, წონა და მოცულობა. ერთ-ერთი ზომის ერთეული ნომენკლატურის პოზიციის ფორმაში განისაზღვრება, როგორც ნაშთების შენახვის ერთეული. ამ ერთეულში ხდება ნაშთების შენახვა რეგისტრებში. ნაშთების შენახვის ერთეული გამოიყენება, როგორც მინიშნების გარეშე ზომის ერთეული, დოკუმენტში ნომენკლატურის შერჩევისას. ამავე დროს, კონფიგურაცია საშუალებას იძლევა დოკუმენტებში ნომენკლატურის პოზიციების გამოწერა მოხდეს მოცემული ნომენკლატურისათვის დარეგისტრირებულ ნებისმიერ ზომის ერთეულში.

კოდი	დასახელება	სრული
744	%	პროცენტი
683	100 ყუთი	ასი ყუთი
781	100 შეკვე	ასი შეკვერა
797	100 ცალი	ასი ცალი
698	ადგილი	ადგილი
903	ათასი ადგილი	ათასი სასწაელო ადგილი
798	ათასი ცალი	ათასი ცალი
163	გ	გრამი
745	ელემ	ელემენტი
642	ერთ	ერთეული
166	კგ	კილოგრამი
839	კომპ	კომპლექტი
657	ნაკ	ნაკეთობა
704	ნაკრები	ნაკრები
736	რულ	რულონი
004	სმ	სანტიმეტრი
168	ტ	ტონა (მეტრული ტონა (1000 კგ))
812	ყუთი	ყუთი
778	შეკვე	შეკვერა
796	ცალი	ცალი
715	წყვილი	წყვილი (2 ცალი)

ანგარიშებაში მონაცემების გამოტანისათვის გამოიყენება ზომის ერთეული ანგარიშებებისათვის.

ანგარიშებებში ინფორმაციის გამოტანა შესაძლებელია საბაზისო, ნაშთების შენახვის და ანგარიშებებისათვის ზომის ერთეულებში. ზომის ერთეულების შესახებ მონაცემების

შენახვისათვის კონფიგურაციაში არსებობს ცნობარი "ზომის ერთეულები", რომელიც "ნომენკლატურის" ცნობარის დაქვემდებარებულ ცნობარს წარმოადგენს. ზომის ერთეულის შესახებ ინფორმაციის შეყვანისას გამოიყენება ცნობარი "ზომის ერთეულების კლასიფიკატორი". ამ ცნობარში შედის ინფორმაცია ყველა იმ ერთეულის შესახებ, რომელიც გამოიყენება კომპანიის მიერ.